ინფორმაცია გასაჩივრების წესის შესახებ

1. სსიპ- ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (შემდგომში- ბიურო) თანამშრომლის ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), აგრეთვე ბიუროს დეპარტამენტის უფროსის ხელმოწერით მომზადებული დოკუმენტი, რომელიც ლახავს ცალკეულ პირთა უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს, შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ თანამდებობის პირთან.

2. საჩივარი შეიძლება იყოს წარდგენილი:

- ფოსტის მეშვეობით;
- ,,ინტერნეტის" ქსელის გამოყენებით, ბიუროს ოფიციალურ საიტზე მიმართვით;
- შესაძლებელია საჩივრის პირადად წარმოდგენა, როგორც ბიუროს ცენტრალურ ოფისში (თბილისი,ილ. ჭავჭავაძის გამზ. 84), აგრეთვე ბიუროს აჭარისა და დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტებში მიმართვის საფუძველზე (აჭარის დეპარტამენტის მის.: ბათუმი, მელიქიშვილის ქ.N102; დასავლეთ საქართველოს რეგიონული ექსპერტიზის დეპარტამენტის მის.: ქუთაისი, მესხის ქ. N5 ა).

3. განცხადება უნდა შეიცავდეს ყველა იმ რეკვიზიტს, რაც მითითებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 77-ე და 78-ე მუხლებში.

4. პირი, რომელიც არ ეთანხმება ბიუროს უფროსის მოადგილის ან უფროსის შემაჯამებელ წერილობით პასუხს ადმინისტრაციულ საჩივარზე, უფლებამოსილია გაასაჩივროს წერილობითი პასუხი საერთო სასამართლო ორგანოებში სასარჩელო წესით, მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის დაცვით. პირი მიმართავს სარჩელით თბილისის საქალაქო სასამართლოს შესაბამის კოლეგიას (თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) ერთი თვის ვადაში მას შემდეგ, როდესაც ის გაეცნობა წერილობითი პასუხის შინაარსს.